საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა.)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

კვირა, 5 დეკემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 112 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 112

„ფეოდალურ წარმოების წესში ვერ გაბატონდება ბურჟუაზია, ხოლო ბურჟუაზიულ წარმოებაში ვერ იბატონებს პროლეტარიატი. და ეს არა მარტო დიდი ხნის განმავლობაში, არამედ ძლიერ მოკლე დროსაც. პროლეტარიატის გაბატონება დღეს, თუნდაც რამდენიმე კვირით, აუცილებლათ გახდება სოციალური რევოლიუციის დასაწყისი, ე. ი. ის აუცილებლათ მოინდომებს თავისი წარმოების პრინციპი (სოციალური) ცხოვრებაში გაატაროს. ვერც ერთი კლასი ვერ გადაუხვევს თავის ისტორიულ გზას, ვერ შედგება სხვის გზაზე, რაგინდ ეს მას უჩიჩინონ და აგონონ. ამიტომ პროლეტარიატის მეთაურობა ძლევა-მოსილ ბურჟუაზიულ რევოლიუციაში ნიშნავს სახელმწიფო ძალის მის ხელში გადასვლას. ამ ძალას ის, რასაკვირველია, აამუშავებს თავის სასარგებლოთ და არა სასარგებლოთ თავის მტერთა—ბურჟუაზიისა; ის დაადგება გზას თავისი, სოციალური რევოლიუციისას, ე. ი. ის უმეთაურებს არა ბურჟუაზიულ რევოლიუციას, არამედ პროლეტარულს“...

ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა—„საჭირბოროტო კითხვები“, 1908 წ.

---

მიუდექით ამ საზომით მენშევიკურ საქართველოს და გამოიცანით: ბურჟუაზიული წყობილება რათ არის აქ, როცა მენშევიკების რწმუნებით, მუშათა კლასია გაბატონებული თითქმის სამი წელიწადი? სახელი პროლეტარიატის, სახრავი ბურჟუაზიის და სპეკულიანტების—აი როგორ გადააქართულეს ჩვენებურმა მენშევიკებმა მარქსიზმი!

## შემდეგ რა?

ხალხთა მასსების, უმთავრესათ კი ქალაქის მუშათა სილატაკემ და სიმშილობამ უმაღლეს წერტილამდის მიაღწია, კალენდარის მიხედვით ჯერ კიდევ ჩვენში კარგი მოსავლიანი წელიწადია. მიუხედავათ ამისა სიმშილის და სიცივის გაძვალტყავებული ხელები მაგრათ ჩაბჯენია მუშათა კლასს ყელში. ტანჯვა-წამებაში მიდის მშრომელთა დღეები, მათი ვინც ქმნის სხვებისთვის ღირებულება სიმდიდრეს. ფიზიკურათ გადაგვარების შავი ღრუბლები მაჯლაჯუნასავით დასწოლია ერთადერთ მწარმოებელ კლასს გლეხობასთან ერთად, რომელიც დაღვრემილი ჩაკეტილა თავის სოფლურ ცხოვრებაში წინ კი გვიძევს გრძელი ზამთარი მთელი თავისი საშინელებით. მომავალში კიდევ მოგველის ჩვენი ბონების კურსის დაცემა, კიდევ თანდათან მცირდება პირველ საჭიროების საგნების რაოდენობა. იზრდება სიძვირე, მატულობს თანდათან ფასები, სასოწარკვეთილება, სრული უიმედობა, აი, როგორი უფსკრულის წინაშე სდგას დღეს მშრომელი კლასი. მშრომელ კლასის მწუხარების მორევთან და ჯოჯოხეთის გვერდით მოსჩანს სამოთხე უსაქმურების, მუქთამჭამლების, სპეკულიანტების, რომლებიც ცოცხლად ხდიან ტყავს ხალხს. ამასთან ერთათ ვხედავთ ქურდ-ბაცაცების, საზოგადოებრივი დოვლათის მძარცველებს და თავაშვებულ ქეიფს და განცხრომას.

რის გულისთვის უნდა გახდეს მშრომელი კლასი სიცივის და სიმშილის მსხვერპლი, იმ დროს, როდესაც მუქთახორები ზეიმობენ? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გასცეს მმართველმა პარტიამ, რომელიც ჯერ კიდევ თავის თავს უწოდებს სოციალისტურ მუშათა პარტიას.

მაგრამ მას ეხერხება, მას სურს მხოლოდ ტკბილი სიტყვებით დემოკრატიზმზე დააბნელოს მუშათა გონება და მათი ყურადღება მუშათა კლასის ყოფნა-არ ყოფნის საკითხს ჩამოაშოროს, აუქციოს.

მუდამ მუშათა კლასის მტერთა სასარგებლოთ მოღვაწე, იგი დრო გამოშვებით გადაუგდებს ხოლმე მუშებს გალეღნულ—გახრულ ძვალს, წამოაყენებს ახალ შეკვეცილ ფორმებს, თუმცა არც ამ რეფორმებს განახორციელებს ობიექტიური შეუძლებლობის მომიზეზებით. რა მოუვიდათ, მაგალითათ, მათ ეკონომიური თათბირის პროგრამას, რომლითაც გაბედნიერებას პირდებოდენ მუშებს? ნეტავ თუ გატარდა ცხოვრებაში ამ გრძელი და გაბერილი, როგორც საშობო ძეხვი, პროგრამის თუგინდ ერთი პარაგრაფი მაინც? სადღაა პურის ულუფის გადიდება, სადღაა დღიურ ხელფასის ნატურალიზაცია, სადღაა მუშებისთვის ბინები, სადღაა, დაბოლოს პარაზიტულ ელემენტებისთვის შრომის ბეგარა ღ სხვა ღ სხვა? ყოველივე ეს ზღაპარი გამოდგა, როგორც ჩვენ მაშინვე ვწინასწარმეტყველობდით. დიდი აურ-ზაური ატყდა სრულიათ უბრალოზე. სიტყვებით ღ მხოლოთ სიტყვებით დანაპირებ რეფორმების ფუტურო და სიცალიერე ჯანბაზური სიდარბაისლით იყო შემოსილ-შეფერადებული. მხოლოდ სიტყვებით... ვინაიდან „დემოკრატია“, სდარაჯობს რა მქონებელ კლასთა კერძო საკუთრებას, როგორც ქოფაკი ძაღლი, ვერ გადაჭრის ვერც ერთ საფუძვლიან, გადაუდებელ შავი დღის საკითხს. მას სჩვევია მდიდართა სუფრის ნაბერტყ-ნამცეცებით დაკმაყოფილება და ფიცი და მტკიცება თავისი სოციალისტობის და დემოკრატობის. ჭეშმარიტი პროლეტარული დემოკრატიზმი მათ ტყავის შიგნით ვერ გაუტანია და სოციალიზმი კი ნერწყვს არ გადაცილებია. ფარისევლობა და პირმოთნეობაა, მაგრამ ამას თვით ჩვენი დემოკრატებიც აღიარებენ, რათა საკუთარი თავის წინააღმდეგ ოპოზიციით გარყვნან და გააჯერონ ჩვეულებრივათ თავისი მონა-მორჩილი მრევლი. ერთი მჩხავანა „ერთობის“ № 275-ში მენშევიკების ეკონომიური თათბირის პროგრამის სამწუხარო ბედის გამო ასე ჭიკჭიკობს: „დაუსრულებელი ბჭობა, გაუწყვეტელი მსჯელობა დღეს და ხვალ, ზეგ, ამ კვირაში, იმ კვირაში. ბჭობა, ისევ ბჭობა, ისევ მსჯელობა, კვლავ თავიდან, და ხელახლავ ფერხული*!.. აი როგორ ლაყბობენ მუშათა კლასის უბედურებებზე.

მაგრამ ცხოვრება არ იცდის, ცხოვრება—წამებაა, მას აქვს საზღვარი, რომლის შემდეგ იწყება გაჭირვების, სიკვდილის და სასოწარკვეთილების მეფობა. მუშები უკვე მივიდენ ამ საზღვრამდის, როდესაც შეგნება და გონება გადნება ინსტიკტის მღვრიე ტალღებში. უნდა ვიჩქაროთ, უნდა გავაფრთხილოთ ეს მომავალი მწუხარე შეგნება. თვით მუშათა მასსამ დაუყონებლივ უნდა შეკრიბოს თავისი კოლექტიური გონება, უნდა გაანათოს ის თავისი რევოლიუციონური შეგნებით და დასვას საკითხი: შემდეგ რა? როგორ გამოვიდეთ იმ ბნელ, გაუნათებელ ჩიხიდან, რომელშიაც მოემწყვდენ მშრომელთა ფართო მასსები? ერთ ადგილას ბეკნა, ეს სილატაკე და ტანჯვა-წვალება ჯერ კიდევ მიმდინარეობს ფარულად, კანის ქვეშ, სანამ ძვალს მოხვდებოდეს, შემდეგ კი ის შეშფოთდება, დაიძრება წინ და გაარღვევს იმ ყრუ კედელს, რომელიც გზაზედ ელობებოდა ახალ ქვეყნისაკენ მიმავალთ, სადაც იქნება სრული თანასწორობა და თავისუფლება, სადაც ყველა ერთნაირად ისარგებლებს საერთო შრომის ნაყოფიერებით.

ძრასდროს სიტყვები: მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეაო, არ ყოფილა ისე მართალი და ცხოვრებასთან შეფარდებული, როგორც დღეს.

მაგრამ ამ სიტყვებში ახლა მარტო შინაგანი სიმართლეა—მათში ფეთქს და ცახცახებს გადაუდებელი აუცილებლობა.

მუშები თვით უნდა გამოფხიზლდენ, თვით უნდა იბრძოლონ და მოიპოვონ პური მათი არსებისა, მუშებმა თვით უნდა დაიპყრან და განამტკიცონ საფსებით თავიანთი განთავისუფლება. მუშების თვითმოქმედების გარეთ, მუშების მხრით პურისა და განთავისუფლებისათვის ბრძოლის გარეთ არ არის და არც შეიძლება იყოს მუშათა განთავისუფლება.

## მთელი და ნაწილები

თანამედროვე ხანას ახასიათებს ნგრევა და რღვევა ძველი ურთიერთობისა, დასუსტება და მოდუნება ძველი ცხოვრების ყველა ძალებისა. ის წარმოებითი ურთიერთობა, რომელიც „აკავშირებდა“ კაპიტალისტს და მუშას, მქონებელს და უქონელს, დამჩაგვრელს და დაჩაგრულს, მოიშალა და მისი კვლავ აღდგენა შეუძლებელი საქმე გახდარა. აქედან წარმოსდგება მთელი ცხოვრების არევდარევა, რომლიდანაც გამოსავალი მხოლოთ იმაშია, რომ დამყარდეს სრულიათ ახალი ურთიერთობა ახალ საფუძვლებზე.

რა ძალას შეუძლია, რომ ეს მეტათ ძნელი საქმე თავს იდვას? ეს ძალაა პროლეტარიატი. ძველი ცხოვრების ყველა ელემენტებიდან მხოლოთ პროლეტარიატია ის ძალა, რომელიც არ ირღვევა, არ ქუცმაცდება, არ სუსტდება, პირიქით ერთათ ერთი იგი იჩენს შეკავშირების, გაზრდის და გაძლიერების საარაკო უნარს. მას ვერაფერს აკლებს ვერც შიმშილი, ვერც სამოქალაქო ომის მიერ მიყენებული მსხვერპლი, ვერც მრავალგვარი ცდა მტრების მხრით მისი სწორი გზიდან გადაცდენისა. ყოველივე კარზე მომდგარი გაჭივრება საბოლოვოთ აფოლადებს მის ნებისყოფას, ასალკლდევებს მის ენერგიას, რევოლიუციონური ცეცხლით ავსებს მის ფიზიკას და ფსიხიკას.

ეს ნიჭი და უნარი დიდ უპირატესობას აძლევს პროლეტარიატს მის მტრებზე, რომელნიც დღითი დღე უფრო და უფრო ითიშებიან, უფრო და უფრო ქუცმაცდებიან და საერთო დაყრდომილებისკენ მიექანებიან. ეს სურათი სწორია საერთოთ, თუ ავიღებთ პროლეტარიატის მთელ კლასს და მას დავუპირდაპირებთ მის მტრებს. მაგრამ თუ პროლეტარიატსაც ჩავუკვირდებით, იქაც ცხადათ შევამჩნევთ ერთგვარ მოვლენას, რომელიც აშკარათ მოწმობს, რომ შეკავშირების და შედუღების პროცესთან ერთათ იქაც ხდება გათიშვის და განცალკევების პროცესი, რომელიც საბოლოვოთ ხელს უწყობს მთელი კლასის გაერთიანების პროცესს.

ეს გათიშვა-განცალკევების პროცესი გუშინდელ ამბავს არ წარმოადგენს, მაგრამ ის არ იქცევდა იმდენ ყურადღებას, რამდენისაც ის ნამდვილი ღირსი იყო. რევოლიუციონური ბრძოლის გალმასებამ პირველ რიგში წამოაყენა ეს მოვლენა და მოითხოვა მისი სათანადოთ აწონ-დაწონვა და შეფასება.

რაში მდგომარეობს ეს პროცესი? პროლეტარიატი არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოთ დამდგარ და ჩამოყალიბებულ კლასს. ის მუდამ ივსება ახალი ელემენტებით, რომლებიც სხვა კლასების ნასხლეტს წარმოადგენენ. წვრილი ბურჟუაზია, რომელიც ვერ უძლებს მსხვილი ბურჟუაზიის სამეტოქეო ბრძოლას, განუწყვეტლივ აწვდის პროლეტარიატს თავის გაკოტრებულ, სილატაკეში ჩავარდნილ წევრებს, რომლებიც, ხდებიან რა პროლეტარებათ, ახალ ბანაკში მოაქვთ თავისი წრის და კლასის სულისკვეთება, შეხედულება, ცრურწმენები და ილიუზიები. ისინი დიდხანს არ კარგავენ იმედს თავი დააღწიონ პროლეტარობას და დაუბრუნდენ „დამოუკიდებელ“ ხაზეინურ ცხოვრებას. რა თქმა უნდა, ამ ნაწილის იდეურ-ზნეობრივი გავლენა ედება პროლეტარიატის სხვა ნაწილსაც, რომელიც აბსოლიუტურათ არ არის დაზღვეული ირგვლივ გამეფებულ ბურჟუაზიული გავლენიდან.

ამ ბურჟუაზიული გავლენის პროლეტარიატში გამტარებელი თვით პროლეტარიატში მოიპოვება. ეს არის ზედ—ნაწილი პროლეტარიატისა, პროლეტარული არისტოკრატია, რომელიც განირჩევა პროლეტარიატის დიდი უმრავლესობიდან თავისი შედარებით უკეთესი მატერიალური მდგომარეობით და განათლების სიმაღლით. ამ ნაწილს უჭირავს პროლეტარულ ორგანიზაციებში მეტის მეტათ პასუხსაგები და მატერიალურათ საკმაოთ უზრუნველყოფილი ადგილი. ეს არის პარტიული პროფესიონალური და კოოპერატიული ბიუროკრატია, რომელიც გამგეობების, კომიტეტების და ბიუროების სახით თავს დასწოლია მთელ კლასს და უდიდეს იდეურ—ზნეობრივ ზეგავლენას ახდენს მასზე. ეს არის, ევროპის მასშტაბით რომ ავიღოთ, ის სოციალური წრე, რომელიც წარმოადგენს მეორე ინტერნაციონალის დასაყრდნობ ძალას, რომელიც უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს პროლეტარიატის განთავისუფლების საქმისათვის.

ის მუდამ მიიზიდება ბურჟუაზიისკენ და გაჟღენთილია ბურჟუაზიული აზროვნებით. ის ხელმძღვანელობს პროლეტარიატს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ საბოლოვოთ შემუსროს ბურჟუაზია, არამედ იმიტომ, რომ შექმნილი მდგომარეობა, სადაც მას ასეთი საპატიო როლი აქვს, რაც შეიძლება მეტათ გაახანგრძლივოს. სიტყვით პროლეტარიატთან მყოფი, მისი იდეალების აღმსარებელი, საქმით ის წინ ეღობება მის ბრძოლას, რომელიც მას მუდამ ნაადრევათ მიაჩნია. პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებში შეკავშირებული პროლეტარიატი ძალაუნებურათ მიყვება ამ მის „მოწინავე“ ნაწილს და თან მიათრევს შეუკავშირებელ პროლეტარიატის დიდძალ მასას.

ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ სხვა და სხვა ობიექტიურ მიზეზების წყალობით პროლეტარიატიც არ წარმოადგენს თავიდან-ბოლომდე ჩამოყალიბებულ ერთ მთლიან კლასს, ის შედარებით ცვალებადია თავისი შემადგენლობით, თუმც ეს ცვალებადობა უმთავრესათ ეხება არა მის ძირს, არამედ მის ზედა-ნაწილს. ამით აიხსნება სხვათა შორის ის საყურადღებო მოვლენა, რომ ოპორტიუნიზმი, ეს წმინდა ბურჟუაზიული მიმდინარეობა, გამოძახილს პოულობს პროლეტარიატში და ხშირად მტკიცეთ იკეთებს იქ ბუდეს.

როგორი იყო საერთოთ კომუნისტების დამოკიდებულება პროლეტარიატის ამ არისტოკრატიული ნაწილისადმი? ეს ნაწილი წარმოადგენდა ეგრეთ-წოდებულ „შეგნებული მუშების“ უმთავრესს კადრს და ამის მიხედვით მასზე მუდამ დიდი იმედები იყო დამყარებული. ამ ნაწილის მიმხრობა, სწორ ტაქტიკურ ხაზში მისი დაჯერება წარმოადგენდა კომუნისტების ერთ უმთავრეს საზრუნავ საგანს. აქედან წარმოსდგებოდა ის მორიდება და თუ გნებავთ გადამეტებული კრძალვა, რომლითაც ამდენ ხანს ასე დაუმსახურებლად სარგებლობდენ ეს გაბურჟუებული პროლეტარები კომუნისტების მხრით.

დღევანდელმა ბრძოლამ ეს მოვლენაც მთელი სიგრძე-სიგანით სააშკარაოზე გამოიტანა. ცხადი შეიქნა, რომ უსაფუძვლოა იმედი მუშათა არისტოკრატიის რევოლიუციისკენ მიმხრობისა, და რომ მათ ამაში ხელს უშლის მათი პირდაპირი ინტერესი. ეს ნაწილი ვერ შეიგნებს პროლეტარიატის ინტერესებს, ვერ ჩადგება სარევოლიუციო ბრძოლაში იმიტომ კი არა, რომ მას შეგნება აკლია და რთული მოვლენებისთვის თავი ვერ გაურთმევია, არამედ იმიტომ, რომ თავისი წვრილ ბურჟუაზიული ეგოიზმით დაბრმავებული, ის მოკლებულია უნარს პროლეტარიატის ინტერესი თავის საკუთარ საქმეთ დასახოს.

დღეს უკვე აშკარათ ხდება ამ ორი უთანასწორო ნაწილის მკაცრათ დაპირდაპირება პროლეტარიატში. პროლეტარიატის ზედანაწილების, მისი არისტოკრატიის, მისი პარტიულ-პროფესიონალური ბიუროკრატიის წინააღმდეგ ისეთივე ბრძოლაა აუცილებელი, როგორც ყველა სხვა მტრების წინააღმდეგ. პროლეტარიატი ისე ვერ გაინთავისუფლებს თავს, თუ მან თავი არ დაღწია ამ ზედაპირის გავლენას. მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ ბრძოლა თავისთავათ გულისხმობს ამ მისი დასეყრდნობი ძალის დანგრევასაც. მთელი ძალლონე იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ამ ნაწილს ყოველივე გავლენა დაეკარგოს პროლეტარიატის ფართო მასაში.

ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული „მოწინავე ელემენტების“ მორჯულებაზე არ უნდა დაიხარჯოს ძვირფასი ენერგია, რომელიც მთლათ უნდა იქნეს მიმართული პროლეტარიატის ძირების ამოძრავებისა, გათვითცნობიერებისა და შეკავშირებაზე.

არა ზედა ნაწილი, არამედ ძირები,—აი საით უნდა მივაქციოთ ჩვენი უმთავრესი ყურადღება.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### პეტროგრად-მოსკოვი ელექტრო მატარებელზე

12 ოქტომბერს ღამის 12 საათზე მოსკოვში ნიკოლაევის სადგურზე მოვიდა ელექტრო მატარებელი, რომელიც აშენებულია ი. ი. მახონინის სისტემაზე. მატარებელი გამოვიდა პეტროგრადიდან იმავე დღეს 12 ოქტომბერს დილის 8 საათსა და 15 წუთზე. მატარებელი მთელს გზაზე მხოლოდ ხუთჯერ გაჩერდა. გზაზე გაფუჭდა ერთი მანქანა, რომელსაც მცირედი შეკეთება დასჭირდა. შეკეთებაში მატარებელი დაგვიანდა ერთ ნახევარ საათით. გაუჩერებლათ ელექტრომატარებელმა შესძლო 150 ვერსის გავლა. პეტროგადიდან მოსკოვამდის მთელი გზა გაიარა მატარებელმა ისე, რომ მხოლოდ ერთხელ დასჭირდა ელექტრო-ენერგიის შემატება. ამ გვარათ ამ მატარებელმა მისოფლიო რეკორდი აა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო, რადგან ამდენ ხანს გერმანიაში გაკეთებულ მატარებელს ერთხელ ძალის მიცემით მხოლოდ 350 ვერსის გავლა შეეძლო. ელექტრო-მატარებელი გაკეთებულია პეტროგრადში ბალტიის ქარხანაში თვით ინჟენერ მახონინის ხელმძღვანელობით. მატარებელი შესდგება სამი მოტორიანი და სამი ტენდერიანი ვაგონებით. პირველ სამ ვაგონზე მოთავსებულია ელექტრო-მოტორები და სამ უკანასკნელ ვაგონებზე მოთავსებულია ჩვეულებრივი ძალის აკუმულიატორები. მატარებელი პულმანოვის ვაგონებისაგან შესდგება. თითო ვაგონში მოთავსდება 80 კაცამდის. ამის გარდა მატარებელზე მიბმულია საწოლი, ჩვეულებრივი ტიპის ვაგონი. მატარებლისათვის ძალის მიცემა გრძელდება 9 საათს. მატარებლის საშუალო სიჩქარე აღწევს საათში 60 ვერსს, მაგრამ ზოგ ადგილებში, მაგალითათ თავდაღმართში მატარებელი გადიოდა 85 ვერსს საათში. სადგურზე გაჩერებისას მატარებელს დიდ ყურადღებას აქცევდენ, როგორც უბრალო ობივატელები, ისე თვით რკინისგზელები. ელექტრო-მატარებლით იმგზავრა ცნობილ ელექტროვოდ პროფესორ სვენტორჟიცკიმ, რომელმაც სთქვა, ის, კი არ არის უმთავრესი, რომ მატარებელი დაუზიანებლათ მოვიდა მოსკოვს, არამედ საყურადღებოა ის თუ როგორ გაკვეთილს მიიღებს ტეხნიკა ამ ცდისაგან. ეს კი შესაძლებელობას მოგვცემს მოვახდინოთ რკინის გზების ელექტროფიკაცია უფრო დიდ მანძილზე. მე საჭიროთ ვთვლი მიუთითო იმაზე, თუ როგორი უპირატესობა აქვს ელექტრო-მატარებელს ორთქლმავლებთან შედარებით. ჯერ ერთი, რომ ელექტრო-მატარებელს ძლიერ ცოტა სათბობი მასალა უნდება, ნაკლებათ ცვდება მანქანა. მაგალითად პეტროგრადიდან მოსკოვამდის საჭიროა ოთხჯერ გამოიცვალოს ორთქლმავალი, ელექტრო-მატარებელი კი ნორმალურ პირობებში ამ მანძილს გაუჩერებლათ გაივლის. ამ მატარებლის გამომგონი ინჟენერი მახონინი ამბობს: „მე სრულიად დაკმაყოფილებული ვარ პირველ პრაქტიკის შედეგებით, რასაკვირველია მომავალში ჩვენ გავაუმჯობესებთ მატარებლების ასეთ ტიპს, რაც მე იმედი მაქვს დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს სამშობლო ტეხნიკას რკინის გზების ელექტროფიკაციის საქმეში. მოსკოვს დავრჩები ორ დღეს. შემდეგ პეტროგრადს გავემგზავრებით. ვცდებით, რომ გზაზე შევჩერდეთ მხოლოდ ტვერში, ბოლოგომში, ვიშერში და პეტროგრადში".

პეტროგრადის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორ მიტკევიჩმა შემდეგი სთქვა: „პირველი პრაქტიკის შედეგებმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა, პირველი ცდა ბრწყინვალე გამოდგა, ამიტომ მე თამამათ შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, რომ მომავალში ელექტრო-მატარებლები პირველ ადგილს დაიკავებენ რკინის გზის ტეხნიკის დარგში.

გაზ. „იზვესტია" № 229.

კონტრ-რევოლიუციის დაქირავებულ დამქაშებს საბჭოთა რუსეთი მალე გაუსწორდება, რითაც არ უნდა შეუშალონ მას ხელი მეურნეობის გაუმჯობესებაში. მაგრამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ის, რომ, როდესაც მსოფლიო ბურჟუაზია აწერს ხელს ჩვენთან სავაჭრო ხელშეკრულობას, ის არ გაუშვებს არც ერთ შემთხვევას, არც ერთ ჩვენ სისუსტეს ხელიდან, რათა საბჭოთა რუსეთს ახალი ჭრილობა მისცეს და მის ტანზე გააჩინოს და გაალრმავოს ახალი იარა, რითაც ხელს შეგვიშლის მეურნეობის აღორძინების საქმეში. იმ მომენტში, როდესაც საბჭოთა რუსეთს გაუჩნდება ახალი მოკავშირე, როდესაც რომელიმე ქვეყანაში გაიმარჯვებს მუშათა კლასი, მაშინ მსოფლიო ბურჟუაზია ხელახლა გამოგვისევს ჩვენ თეთრ-გვარდიელების ბანდებს, რომელსაც ის მოკრებს მთელ ქვეყანაში. ბურჟუაზია შეეცდება დიდი დათმობებით მოისყიდოს წყნარ ოკეანეზე იაპონია, ის შეეცდება კიდევ შეგუებას ჩვენ გადამწყვეტ ბრძოლაში.

მაგრამ ჩვენ უკვე არა ვართ მოწყვეტილი მსოფლიო ბაზარს და ჩვენ მთელი ძალებით უნდა ვეცადოთ მივიღოთ კაპიტალისტურ ქვეყნებიდან ის, რისიც მიღება კი შეგვიძლია და რაც ხელს შეუწყობს ჩვენ ეკონომიურ აღორძინებას. ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა გადავწყვიტოთ, რომ სამუდამო ზავის ჩამოგდებამდის არ შეიძლება გადადება ჩვენი ეკონომიური აღმაშენებლობისა. რომ ასეთი დრო ახლო არ არის, რომ რუსეთის მუშათა კლასის ერთმა ნაწილმა უნდა აკეთოს და მეორემ ბრძოლით უნდა დაიცვას პირველის მონაპოვარი, ამას ახალ დასკვნამდის მივყევართ, რომ ჩვენ დიდხანს ვერ გადავაკეთებთ ჩვენ ხმლებს სახნისებათ. და წითელ არმიის გაუმჯობესება და გამაგრება ისე უნდა შედიოდეს ჩვენს ამოცანაში, როგორიც მეურნეობის აღმაშენებლობა. საბჭოთა რუსეთის სამი წლის საგარეო პოლიტიკა—ეს ბრძოლაა ცალ ხელში იარაღით, ხოლო მეორე ხელში უროთი.

კ. რადეკი.

# საერთაშორისო პოლიტიკა

(დასასრული. იხ. „ახ. კომ." № 111)

ლოიდ-ჯორჯი და ინგლისის მთავრობა არ ეწინააღმდეგება პოლონეთის 26 აპრილის შემოტევას, რომელიც არარათ ხდის სავაჭრო ხელშეკრულებას, რადგან შეუძლებელია საბჭოთა რუსეთი მშვიდობიან აღმშენებლობას შეუდგეს. ინგლისის კაპიტალისტები მით უკეთ უშვებენ თავის ხელიდან სადავეს, როდესაც ხედავენ, რომ საბჭოთა რუსეთი ეს დენიკინი არ არის, რომ ის არ აძლევს ნებას ინგლისელებს სძარცვონ რუსეთი, რომ მას სურს საბჭოთა რუსეთისათვის საჭირო მანქანები ოქროთი შეისყიდოს. ნედლი მასალის ვაჭრობის საქმე კი საბჭოთა რუსეთს სურს იმ დრომდის გადადოს, როდესაც გამაგრებული იქნება მისი სამეურნეო აპარატი, და შეეძლება მას შეუფერხებლათ გაიტანოს რუსეთიდან ნედლი მასალა. ინგლისის კაპიტალისტებს სურდათ საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობის დაწყება, რომ მოსახმარ საგნების კონტრაბანდული გზით მიყიდვით დაერღვიათ საბჭოთა მთავრობის სამეურნეო გეგმა. მათ არ სურდათ, რომ საბჭოთა რუსეთს დაენახვებინა მთელი ქვეყნისათვის, რომ კომუნიზმი ერთად ერთი გამოსასვლელი გზაა კაპიტალისტურ ანარქიისაგან. ინგლისის კაპიტალისტები უცდიდენ იმ დროს, შეიძლება პოლონეთის თეთრ ლეგიონერებმა იარაღის საშუალებით გამოგლიჯონ საბჭოთა რუსეთს უკრაინის პური და შაქარი, ვრანგელის ბანდებმა კი დაიკავონ დონის ქვანახშირის ოლქიო. მაშინ ინგლისი შესძლებს საფრანგეთს გამოგლიჯოს ხელიდან დავლის ნაწილი.

საბჭოთა რუსეთი უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე ეს ინგლისის კაპიტალისტებს ეგონათ. საბჭოთა რუსეთის ჯარი მიადგა ვარშავის კარებს და ლონდონის ბირჟას წითელი ცხენოსანი ჯარი უკვე რეინის ნაპირებზე ეჩვენება. ლონდონის ბირჟა ომით ემუქრება საბჭოთა რუსეთს. მაგრამ ამავე დროს ფეხზე წამოიჭრა ინგლისის მუშათა კლასი და ხმა მაღლა შესძახა ინგლისის ბურჟუაზიას: „შეჩერდი". ინგლისის ისტორიაში ეს პირველი მაგალითია, როდესაც მუშათა კლასი თვით უკარნახებს პოლიტიკას.

წითელმა ჯარმა განიცადა დამარცხება და უკან იხევს, მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიას მაინც აფრთხობს პროლეტარული რუსეთი. საბჭოთა რუსეთთან ზავისა და სავაჭრო ურთიერთობის საქმის შესახები საკითხი ისევ შორს იქნა გადაგდებული. მის მაგიერ ადგილს იკავებს ინგლისის ახალი ცდა —შექმნას სამხრეთის ახალი ფრონტი, ვრანგელის არმიას შეუერთის თეთრი საქართველოის და თეთრი სომხეთის არმიები, მათი საშუალებით საბჭოთა რუსეთი მოწყვიტოს დონის ქვა-ნახშირის ოლქს, ყუბანის პურს და ბაქოს ნავთს. საფრანგეთი ძალას ატანს, რომ პოლონეთმა არ შეკრას ზავი საბჭოთა რუსეთთან. მაგრამ თეთრი პოლონეთი, რომელმაც ვარშავასთან გაიგონა საბჭოთა რუსეთის ზარბაზნების გრუხუნი, დარწმუნდა, რომ მოკავშირეთ გადამწყვეტ მომენტში არ შესძლებიათ დახმარების აღმოჩენა, აი ეს პოლონეთი უარს ამბობს იცეკვოს მოკავშირეთა სალამურის ხმაზე.

პოლონეთი ზავს კრავს საბჭოთა რუსეთთან ბევრათ უფრო ცუდ პირობებში, ვიდრე ეს შეეძლო პოლონეთს მარტში და ამით ვრანგელს ბედის ამარა სტოვებს გასანადგურებლათ. ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლის თავზე ჩვენ უკვე ვხედავთ ვრანგელის განადგურების დღეებს (ეს სტატია მაშინ არის დაწერილი, როდესაც ვრანგელი ჯერ კიდევ არ იყო განადგურებული — მთარგმ.) მაგრამ ეს განადგურება ჯერ არაა დამთავრებული კავკასიაში. ბრძოლის ახალი კვანძი გაინასკვა. ეს კვანძი არის ბათომის გზით, რომლის ყიდვა სურს ინგლისს მენშევიკ გამცემლებისაგან. ბაქოს ნავთისაკენ არის გაშვერილი ინგლისელ ყაჩაღის ხელები. ერთი კი ცხადია, თავისი საკუთარი ცოცხალი ძალებით მსოფლიო კაპიტალი ვერ გაილაშქრებს აწი საბჭოთა რუსეთზე. ეს ბრძოლის იარაღი უკვე გამოგლიჯა ხელიდან მსოფლიო კაპიტალს მსოფლიო რევოლიუციამ.

ყველა ქვეყნების მასების მისწრაფება საბჭოთა რუსეთისადმი იმდენათ ძლიერია, რომ გამყიდველები და ჯაშუშები მუშათა ბანაკიდან, რომლებიც ჟენევის მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე აცხადებდენ ზიზღს საბჭოთა რუსეთისადმი, ახლა იძულებულნი არიან მუშათა კლასის გავლენის გამო განაცხადონ, რომ ისინი წინააღმდეგნი არიან ყოველგვარი ომის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. პოლონეთის ბლოკადა გერმანიის, ავსტრიის და ჩეხო-სლოვაკიის რკინისგზელებისა, მაჩვენებელია იმის, რომ ანტანტის სახელმწიფოები აშკარა ომს ვერ აწარმოებენ შემდეგში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

დარჩათ მხოლოთ ერთი საშვალება, დაიქირავონ პატარა გმირები, როგორც სავინკოვი, რომელიც პილსუდსკის თავლიდან გამოსვლის შემდეგ შორს ვერ წავა. ან და ბულაკ-ბალახოვიჩი, რომელიც თამაშობს იუდენიჩის ველიკოროსელ პატრიოტის როლს, არის კიდევ ერთი ატამანი პეტლიურა, რომელზედაც მოხდენილათ გამოთქმულია ხალხური ლექსი: „ვაგონში დირექტორია, ვაგონქვეშ ტერიტორია".

ცხადზე უცხადესია, რომ მსოფლიო

# ბიულეტენი პრესბიუროსი

## რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

(რადიოთი მოსკოვიდან, ნაუენიდან, ლიონიდან და სხვ. და პირდაპირი მავთულით კავკავიდან და ბაქოდან).

## საზღვარ-გარეთ

### სომხეთი

**სტამბოლი,** 23 ნოემბ. გაზ. „ილერი" შემდეგს სწერს:

„ელვის სისწრაფით მოხდა ის ამბები, როდესაც სომხეთი ასეთ სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდა. სულ მოკლე დროს განმავლობაში განიცადა ამ უბედურ ქვეყანამ დარბევის მთელი სიმწარე. ეს უბედურება სხვებისთვინაც გაკვეთილი უნდა იქნეს. დიდი პასუხისმგებლობა ედება მათ, ვინც ოსმალეთის ხალხში ჩასთესა მტრობა და შური. საზღვარი უნდა დაედვას იმ ბრძოლას, რომელიც ერთნაირათ აღატაკებს როგორც სომხეთს, ისე ოსმალეთს.

**სელჯუკების სახელმწიფო**

**სტამბოლი,** 23 ნოემ. ჟურნალი „ორთანი" იტყობინება: „ქემალის საწინააღმდეგო მოძრაობას ქ. კონიაში ხელმძღვანელობდენ ზოგი მდიდრები, ამ ქალაქის მესაკუთრენი, იმ მიზნით, რომ გადაერჩინათ თავისი ქონება ოსმალთა ბოლშევიკების კაცრისაგან. მათ ანატოლიის შუა გულში შექმნეს საწინააღმდეგო ცენტრი. ამიტომ ამ მოძრაობის მეთაურებმა ისარგებლეს ძველი ტრადიციებით, ამ ქალაქის ისტორიით და თავის ორგანიზაციას დაარქვეს სახელათ „სელჯუკების სახელმწიფო".

სპეციალური ემისრები გაგზავნეს სოფლათ. მათი დანიშნულება იყო ანტინაციონალურ პროპაგანდის გაწევა. როგორც ეტყობა ამ აგენტებს ვერავითარი გავლენა ვერ მოუხდენიათ სოფლის მცხოვრებლებზე. მცხოვრებლები აცხადებენ, რომ მათ არავითარი მონაწილეობის მიღება არ სურთ იმ მოძრაობაში, რომელიც ღალატობს ნაციონალურ საქმეს. ახლა სელჯუკებმა ყოველივე ზომები მიიღეს ახალ სახელმწიფოს შესაქმნელათ. ამ სახელმწიფოში მათ დაიყვეს ყველა თანამდებობები. სისხლის მღვრელი შეტაკება მოხდა „აჯანყებულთა" და ნაციონალისტებს შორის. ამ შემთხვევაში ანგორა დიდის სიმკაცრით მოქმედებდა.

### ამასიაში.

**სტამბოლი,** 23 ნოემბ. გაზ. „ვაკიტას" ცნობით ამასიაში მთელი მუსულმანობა იარაღ ქვეშ არის დაყენებული. ქრისტიანები განთავისუფლებულნი არიან სამხედრო ბეგარისაგან იმ პირობით, რომ ისინი გადიხდიან 6 თვის განმავლობაში 250 ლირას.

**სტამბოლი,** 23 ნოემ. გაზეთი „პეიმ საბახი" სწერს: „მართალია კავკასიის ფრონტზე ნაციონალისტებმა აიღეს ყარსი და ალექსანდროპოლი, ალყა შემოარტყეს ერევანს და აიძულეს სომხეთის მთავრობას მოეწერა ხელი ბრესტლიტოვსკის მაგვარ ზავზე. ასეთ პირობებში გვგონებათ, რომ ქემალისტების ცუდ მდგომარეობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ ისედაც გამოფიტული და დაუძლურებული სახელმწიფოს მიერ ახალ ომების წარმოება ნიშნავს სახელმწიფოს დაღუპვას. პოლიტიკაში კი ყველაზე მეტი სამსახურია, ანდა უფრო მართლა რომ ვთქვათ მოვალეობა, ალღო აუღოს მომავალს და გამოსწოროს დღევანდელ მდგომარეობიდან ყოველივე სასარგებლო.

აღმოსავლეთ ფრონტზე მომხდარ ამბების შემდეგ, ჩვენი მდგომარეობა სახელმწიფოების მიმართ შემდეგია: ჩვენ უარვყოფთ სევრის ხელშეკრულობას რასაც მოითხოვს ჩვენგან ანტანტა, მაგრამ ეს ყველაფერი არაა. ჩვენ ამავე დროს ვადგენთ ბრესტლიტოვსკის დაგვარ ზავს, რომელიც შეკრულ იქმნა მოკავშირეების გამარჯვების დროს. ან და სხვანაირათ რომ ვთქვათ, ჩვენ ვქნით სამხედრო მდგომარეობას ოსმალეთსა და ანტანტას შორის".

**ომი, ომი!.**

**სტამბოლი,** 23 ნოემბერი. „პეიამ საბახი" სწერს:

ქემალისტებმა გაილაშქრეს სომხეთზე, აიღეს ყარსი, ალექსანდროპოლი და გარს შემოერტყენ ერევანს; მეორე მხრივ დაეცა საჯანი, ბრუსის ფრონტზე დაიბრუნეს ინეგელი, ენიშეხირი და მგონი სიმავიც... ყველა ეს ძალიან კარგია, მხოლოდ თუ ეს ახალი გამარჯვებები ჩვენ ახალ ტანჯვას და უბედურებას არ მოგვანიჭებს.

ახლანდელ მთავრობას, რომელიც იცავს ზომიერ ტაქტიკას, შეეძლო ევროპის აზრი ჩვენს სასარგებლოდ შემოეტრიალებია. არასოდეს პოლიტიკაში არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ გრძნობით, ჩვენ არ შეგვიძლია დაუჯეროთ ცალკე პიროვნებებს, რომლებიც გვპირდებიან სამშობლოს ხსნას იარაღით. ჩვენი ძალა-უფლება სტამბოლში ხალხის უკანასკნელი იმედია. ჩვენი ხალხის მომავალი შეკავშირებულია ამ მთავრობის ბედთან.

**ბრუსის ფრონტზე.**

**სტამბოლი,** 23 ნოემბ. გუშინწინ გავრცელდა ხმები ბრუსის ფრონტზე მომხდარ მკაცრ ბრძოლების შესახებ. სომხეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ ქემალისტებმა სამი მიმართულებით შემოუტიეს და დაიკავეს სადგური სუსიზდიკიბალიკ კესირის რაიონში.

**სმირნის ფრონტზე და სმირნაში.**

**სტამბოლი,** 23 ნოემბ. გაზ. „იკდამს" სმირნის ფრონტიდან მოუვიდა ცნობა. რომ უშაკსა და ათიონ კარა-გისარის შორის გზა დაფარულია ღრმა თოვლით. დიდი სიცივეები და ძლიერი ქარი ჰქრის.

**დაწვრილებითი ცნობები ხაჯინის დაკავების შესახებ.**

**სტამბოლი,** 23 ნოემბ. გაზ. „ვაკიტი" შემდეგს გადმოგვცემს ხაჯიკის დაკავების შესახებ: მილისტები სარგებლობდენ 10—5 დიუმიანი ყუმბარებით. უამისოთ ისინი ვერ აიღებდენ ხაჯინს. გარშემორტყმულმა 500 კაცმა გაარღვია ფრონტი, მივიდა სისში, საიდანაც ფრანგებმა გადაიყვანეს ადანში. რამდენიმე ასი კაცი მთებში მიიმალა. მათ შესახებ არავითარი ცნობა არ არის. გადარჩენილია ათას კაცამდის.

**ოსმალეთი და სომხეთი.**

**სტამბოლი,** გაზეთ „ილერი" მოწინავეში, რომელიც მიძღვნილია სომხეთის უკანასკნელ ამბებზე, სწერს:

„სომხეთს დაატყდა თავზე ისეთი უბედურებები, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ამ უბედურების მიზეზი არის ის ხალხი, რომლებიც უსისიანებდენ ერთმანეთს სომხეთის და ოსმალეთის ხალხს.

ახლა გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ქემალისტებსა და სომხეთს შორის ზავი ჩამოვარდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებზეო. გვაძლევს თუ არა ეს ზავი იმ გარანტიებს, რომ მომავალში ამ ორ ხალხს შორის დამყარდება მშვიდობიანობა? ჩვენ ამის თქმა არ შეგვიძლია. ჩვენ არც ის გვწამს, რომ ბრესტის ზავი ისევ იქნება გატარებული ცხოვრებაში. საკითხი მხოლოდ იმას შეეხება, რომ შეკვეცონ სომხეთის საზღვრები. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთ ომებს ბოლო უნდა მოეღოს. ორივე ეს ხალხი დაქანცულია და საჭიროებს დასვენებას".

**ქემალისტების მოწოდება საქართველოსადმი.**

**ტრაპიზონი,** 23 ნოემ. გაზეთი „ისტიკბალი," ქემალისტების სომხეთზე შეტევის გამო სწერს:

„სომხები თხოვენ მოკავშირეებს იარაღს, ფულს და შეარაღებულ ძალას, მეორე მხრივ სომხები ცდილობენ შეიძინონ რაც შეიძლება მეტი მეგობრები. კერძოთ კი ისინი ცდილობენ დაიხმარიონ საქართველო, ვინაიდან სომხეთის მდგომარეობა უიმედოა; ჩვენ არ გვგონია, რომ საქართველოს საზოგადოებრივმა აზრმა ამას ანგარიში არ გაუწიოს და ამ ავანტიურაში ჩაბმაზე უარი არ თქვას.

ქართველებმა უნდა იცოდენ, რომ მათი ინტერესი მოითხოვს წავიდენ იმ გზით, რომელიც მას უკარნახებს. კავკასიის რესპუბლიკების არსებობა, მათ ბრძნულ პოლიტიკაზეა დამოკიდებული."

**ბულგარეთის პარლამენტში და ცარიბროდის ოკუპაცია**

**სტამბოლი,** 23 ნოემბ. 13 ნოემბრის „ბოსფორი" იტყობინება: 7 ნოემბერს შესდგა პარლამენტის სხდომა ბოთევის თავმჯდომარეობით. მეტად საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ნანოლოვმა: „მე უნდა შეგატყობინოთ თქვენ მეტად არასასიამოვნო ამბავი, სთქვა მან, სამხრეთ სლავიის ჯარები დღეიდან დაიწყებენ ჩვენი ტერიტორიის ოკუპაციას აღმოსავლეთში. მცხოვრებლები გარბიან ამ ადგილებიდან, ეს სურათი მოგვაგონებს ჩვენ უკანასკნელ ომის ამბებს. მე აქ არ გავჩერდები იმაზე, თუ ვინაა დამნაშავე ამ მძიმე საქმეებში, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ხალხს.

ბულგარეთის მცხოვრებლები, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი სიყვარული სამშობლოსადმი, ახლა სამხრეთ-სლავიის გავლენის ქვეშ ვარდებიან. მე მინდა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ოკუპაციას ახდენენ სამხრეთ-სლავიის კარები მანამდის, სანამ ინტერნაციონალური კომისია მოასწრებდა ახალ საზღვრების გაყვანას.

**ძვირფასი ამხანაგების დაღუპვა.**

**მოსკოვი,** 3 დეკ. საფრანგეთის კომუნისტები ლეფიური, ლენტი და ვერჟე, რომლებიც მონაწილეობდენ კომუნისტურ ინტერნაციონალის მეორე კონგრესზე, საფრანგეთში დაბრუნების დროს გემის დაძირვის გამო დაიღუპენ.

**მოლაპარაკება დ' ანუნციასთან**

**ლიონი,** 4 დეკ. რომიდან იტყობინებიან, რომ პალატამ გადაწყვიტა გაგზავნოს დ' ანუნციასთან დელეგაცია მოსალაპარაკებლათ.

**რუსი გადმოხვეწილები.**

**სტამბოლი,** 23 ნოემ. ჟურნალი „დორიანი" იტყობინება, რომ რუს გადმოხვეწილთა რიცხვი აღწევს 90 ათას კაცს. რუსეთის წითელ ჯვრის კომიტეტმა სტამბოლში მოაწყო ტანისამოსის, პურ-

# ა უმარჯოს საბჭოთა სომხეთს

### წითელი ერევანი

ერევანი, 3 დეკემ. ერევანში საბჭოთა
ლა-უფლება გამოცხადდა. ძველი მთავ-
ობა გადაყენებულია. მთელი ძალა-უფ-
ება დროებით, სანამ სომხეთის რევო-
უციონური კომიტეტი მოვა, სამხედ-
სარდლობას—დროს მეთაურობით—
დაეცა. სომხეთის სამხედრო კომის-
თ ამხ. სილინია დანიშნული. ჯარისა-
ი გაცემულია ბრძანება, რომ იგი რე-
ლიუციური კომიტეტის განკარგულე-
ში არის გადაცემული.
სომხეთის რევოლიუციონური კომიტე-
, რომელიც დელიჟანში იმყოფებოდა,
ევანისაკენ გაემართა.

### ამერიკის მუშები ჩვენთანაა

მოსკოვი, 3 დეკ. ნიუიორკის მილიონ
ხევარ მუშების წარმომადგენლებმა
ილეს რეზოლიუცია, რომელშიც მთავ-
ობას წინადადებას აძლევენ შესწ-
იტოს კონტრრევოლიუციონური მოქმე-
ბა საბჭოთა რუსეთისადმი და განაახ-
ოს მასთან სავაჭრო ურთიერთობა.
ერიკის მუშები სალამს უძღვნიან ინ-
ისის მუშებს, რომლებსაც გადაწყვე-
ლი აქვთ თავგანწირვით ებრძოლონ
რჟუაზიას.

### პროლეტარიატის ურთიერთშორის დახმარება.

მოსკოვი, 3 დეკ. დანიის, შვეციის და
რვეგიის რკინის გზის მუშებმა დაად-
ნეს გაფიცვების დროს ერთმანეთს
ური დახმარება გაუწიონ. რკინის-
ელთა გაფიცვების შემდეგ მრეწველო-
ს სხვა დარგებში მომუშავეთა გაფი-
ებსაც მოელიან.

### ინგლისის მუშები და უბინაობა.

**მოსკოვი**, 3 დეკემბერი. ვინაიდან ინგლისის მუშები ბინის დიდ კრიზისს განიცდიან, განთავისუფლებული ყოფილი ჯარის კაცები იძულებული შეიქნენ ბურჟუაზიის ცალიერი სახლები ძალით დაეკავებიათ. თუმცა პალატაში მიიღეს კანონ პროექტი ჩამოერთვას მეპატრონეს ის სახლი, რომელიც 3 თვის განმავლობაში ცარიელი ჰქონდა. ბურჟუაზიის დეპუტატებმა ამ კანონს „ყაჩაღობა" უწოდეს. მუშათა პარტიის წარმომადგენელმა რიჩარდსონმა ინგლისის კაპიტალისტებს მკვლელობის ბრალი დასდო, ვინაიდან ისინი ხელს უშლიან მუშებისათვის ბინის საკითხის გაუმჯობესებას.

### ჩვენს მხარეზე გადმოდიან.

**მოსკოვი**, 3 დეკ. ბალახოვიჩის ჯარების კალინის პოლკი ჩვენსკენ გადმოვიდა. იქვე მოწყობილ მიტინგზე ჯარებმა ფიცი დასდვეს, ერთგულათ დაიცონ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის საბჭოთა ძალა-უფლება.

### მუშათა მოძრაობა ისპანიაში.

**ლიონი**, 4 დეკ. მადრიდში სასურსათო მდგომარეობა ნორმალურია. მეჩექმეთა ცეხის 4 ათასი მუშა გაფიცულია. სევილიაში თითქმის საყოველთაო გაფიცვებია. ბარსელონაში ტერორისტული აქტის მსხვერპლის—დეპუტატ ლენრეტას დასაფლავების დღეს დიდი დემონსტრაციები მოეწყო. სარაგოსაში გაფიცვები უცვლელათ გრძელდება.

# დღიური.

**საბჭოთა აზერბაიჯანმა დაუბრუნა თავის ნორჩ მოძმეს, სოციალისტურ საბჭოთა სომხეთს: ზანგეზური, ნახიჩევანი და ყარაბაღი.**

**ნორვეგიაში დაიწყო რკინის-გზელთა საყოველთაო გაფიცვა. დანიის და შვეციის რკინის-გზელებმა დაადგინეს დაეხმარონ მათ.**

**ამერიკის მუშები ილაშქრებენ თავიანთი ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მოითხოვენ საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენას.**

**ინგლისში მუშები იტაცებენ ბურჟუების ბინებს.**

**ამხ. ფრანგი კომუნისტები; ლეფევრი და ლენტი, კომ. ინტერნაციონალის მეორე კონგრესის მონაწილენი, დაიღუპენ ზღვაში.**

**ისპანიაში გრძელდება გაფიცვები.**

ლ საჭიროების საგნების და ფულების
გროვება. ეს გადაცემულ იქნება გად-
ხვეწილებზე.

### უნგრეთის კაბინეთის გადადგომა.

დაპეშტი, 3 დეკ. ფინანსთა მინისტ-
ს კორანის გასვლამ გამოიწვია მთელი
ბინეთის გადადგომა. პრემიერ მინის-
რმა გრაფ ტელიკიმ განაცხადა პალა-
ში დღეს კაბინეთის გადადგომა, რო-
ლიც უკვე მიიღო ხორტის მთავრობამ.
ერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ
ალ კაბინეთის შეყენება დაევალება
რაფ ბეტლანს, მაგრამ მაინც მდგომა-
ეობა გამოურკვეველია, ვინაიდან პარ-
იებში დიდი განხეთქილებაა. ქრისტიან
ციალისტები, ქრისტიანი ნაციონა-
ისტები დ აგრარიები სხვა დ სხვა მიმა-
ულებას იცავენ. მინისტრთა კრიზისს
უძლია გამოიწვიოს პარლამენტის კრი-
სიც, რომელიც გამოიწვევს ნაციონა-
ურ კრების გაშვებას, რომელიც არჩე-
ლი იყო ორი წლით და ძლივს გასტა-
10 თვეს.

### მგლები.

მოსკოვი, 3 დეკემბერი. ანტიბალშე-
კურ ძალების შემკრებ კომიტეტის სა-
ავეში გუჩკოვი მოექცა. მოწვეულია
მიტეტის წევრათ კერენსკიც. კომი-
ეტი პარიჟშია.

### ყვავსაც კი თავისი ბახალა მოსწონს.

ლიონი, 4 ნოემბერი. ჟორჟ ლეიგი
ტანში" სწერს:
„ჩვენ მიერ ათინაში გაგზავნილი ნო-
ა ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელია.
ლა ჩვენ უნდა გამოვნახოთ ზომები,
რომლებიც მისაღები იქნება იმ შემთხვე-
ში, თუ კონსტანტინე ტახტზე დაბრუ-
დება. ამ შემთხვევაში მოკავშირეებს
ავისუფალი მოქმედების საშვალება მი-
ცემათ. ამ საკითხზე კამათის გაგრძე-
ება, რასაკვირველია, ჯერჯერობით არ
არს".
მემკვიდრის საკითხის შესახებ ლეიგმა
ნაცხადა: „იგი მემკვიდრეც მოლალა-
ეა, მაგრამ იმდენათ კი არა, რამდე-
თ მამა. აუცილებლათ საჭიროა კონ-
ტანტინეს გამცემლობის საჯაროთ მხი-
ება". ლეგი ათავებს: „ჩემზ ეთათბირმა
ამოდენი შთბეჭდილებაქონია. საკითხი
ოველმხრივ გამორკვეულია და მე ვი-
დოვნებ, რომ იგი სასურველად გადა-
ყდება".

### ლონდონის კონფერენცია.

ლიონი, 4 დეკემ. საბერძნეთის ახალ
დგომარეობის გამო ლონდონის კონ-
ფერენცია ხუთშაბათს ხელ-ახლად შეუდ-
ა სევრის ხელშეკრულების გადასინჯვას.
ალამოს სხდომაზე განხილულ იქმნა ის
ომები, რომლის მიღება საჭირო იქნება
მ შემთხვევაში, თუ რომ საბერძნითი
აფრთხილების მიუხედავათ მაინც მოი-
წვევს ტახტზე კონსტანტინეს. პარასკევს დილის სხდომის საყურადღებო გადაწყვეტილება ის არის, რომ სამმა დიდმა სახელმწიფომ უარჰყო სომხეთის ხალხის ლიგის წევრათ მიღება.

ამ გადაწყვეტილების შესახებ უკვე აცნობეს მათ თავიანთ წარმომადგენლებს ჟენევაში. გაზ. „ტანი" სწერს: მიუხედავათ დიდი სიმპატიისა ამ ახალ სახელმწიფოთადმი, კონფერენცია იძულებული იყო ასე მოქცეულიყო, რადგან სევრის ხელშეკრულება ჯერ კიდევ ძალაში არ არის შესული, რადგან არ მომხდარა ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია და ამიტომ სომხეთს ჯერ კიდევ არ აქვს კანონიერი არსებობის უფლება მინიჭებული.

### ლონდონის თათბირი

**ლიონი**, 3 დეკ. ხუთშაბათს დილით ჟორჟ ლეიგი მავიდა ლონდონს სადაც ინახულა ლოიდ-ჯორჯი და გრაფ სფორცა. გაზეთები ფიქრობენ შეთანხმებას და გაგზავნილ იქნება ათინაში გაერთიანებული ნოტა.

### ხალხთა ლიგაში ახალი ქვეყნების მიღება

**ლიონი**, 4 დეკ. ავსტრიის ხალხთა ლიგაში მიღების რეზოლიუცია კომისიის მიერ ერთხმათ იქნა მიღებული. ბულგარეთის შესახებ იტალიის, საფრანგეთის და ინგლისის სამხედრო მინისტრების მიერ აგრეთვე ელჩთა კონფერენციის მიერ მიღებულია ცნობები, რომ ბულგარეთი ყოველ ზომებს იღებს, რათა ლოიალურათ შეასრულოს კონფერენციის მიერ დადგენილი ბულგარეთის განიარაღება. ქვეკომისია ფიქრობს, ბულგარეთის ხალხთა ლიგაში მიუღებლობის მიზეზი იქნება ის, რომ ბულგარეთის არმიამ დიდი სიმკაცრე გამოიჩინა. მეორე მიზეზი კი არის—მეფის ღალატი. ქვეკომისია აღიარებს, რომ რუმინიის და სამხრეთ სლავიის საზოგადოებრივი აზრი მტრულად ეკიდება იმ საკითხს, რომ ბულგარეთი იქნას შეყვანილი წევრათ ხალხთა ლიგაში. ინგლისის მთავრობის სახელით ფიშორი თანახმაა ბულგარეთის ლიგაში შეყვანის. ასეთივე აზრი გამოსთქვეს სპარსეთის, იაპონიის და შვეციის წარმომადგენლებმა. საფრანგეთის დელეგაციას ჯერ კიდევ არ გამოუთქვამს ამ საკითხზე თავისი აზრი. ლიხტენშტაინს უარი უთხრეს ლიგაში წევრათ შესვლაზე, რადგან ეს პატარა ქვეყანა ვერ შეასრულებს ყველა პირობებს, რაც საჭიროა წევრათ შესასვლელათ. კოსტარიკა ერთხმათ იქნა წევრათ მიღებული. უკრაინასა და აზერბაიჯანის შესახებ კომისიამ დაადგინა, მათი ახლანდელი მდგომარეობის გამო შეუძლებელია ამ ქვეყნების ხალხთა ლიგის წევრათ მიღება. სომხეთი ერთხმათ იქნა მიღებული ხალხთა ლიგის წევრათ.

### დასასრულის ახლოს.

**მოსკოვი**, 3 დეკემბერი. დაბა ხოიკინიდან გასვლის შემდეგ, ბალახოვიჩის ბრბოებმა ებრაელთა დარბევა მოაწყვეს, რომლის დროს მოჰკლეს 100 კაცი, დაჭრილი ძალიან ბევრია. მასთან ერთი დაახრჩვეს და 30 ქალწული გააუპატიურეს.

### ლონდონის თათბირის შესახებ.

**რომი**, 3 დეკემბერი. პემ მელი სწერს' რომ სფორცის ლონდონში დარჩენა ხელს შეუწყობს იტალიის, საფრანგეთის და ინგლისის ურთიერთობათა საკითხის სრულ გაწყვეტას.

### ფიუმეს ბლოკადის შესახებ.

**რომი**, 3 დეკემბერი. ფიუმეს ბლოკადის შესახებ ცნობამ ლონდონში საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა. იგი ამტკიცებს იტალიის მთავრობის ძლიერებას და სურვილს, რომ რაპალოს ხელშეკრულება განხორციელებული იქნება.

### საბჭოთა რუსეთთან კავშირის აღსადგენათ.

**მოსკოვი**, 4 დეკ. ამერიკელ რადიკალებმა წერილით მიმართეს ახალ პრეზიდენტ გარდინგს, რომელსაც სთხოვენ რაც შეიძლება ჩქარა იქნეს აღდგენილი საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობა.

გერმანიის პრესა გაცხარებით კამათობს იმ კითხვაზე, რომ ინგლისის შემდეგ დაუყონებლივ უნდა იქნას საბჭოთა რუსეთთან აღდგენილი ეკონომიური კავშირიო:

### მთელ ქვეყანაში ყველაზე დიდი რადიო სადგური.

**ლიონი**, 4 დეკ. 18 დეკემბ კრუადვანში ბორდოს ახლო გაიხსნა მთელ ქვეყანაზე ყველაზე დიდი რადიო სადგური „ლაფოეტი".

### მოკავშირეების მიმართვა საბერძნეთისადმი.

**ლიონი**, 4 დეკ. ლიონის კონფერენციამ, რომელშიაც მონაწილეობენ: ლოიდ-ჯორჯი, ლორდ კერზონი, ბონარ-ლოუ, ჟორჟ ლეიგი, ბერტელო, კობონი, გრაფ სფორცი და მარკიზ იმპერიალი, შემდეგი მოწოდებით მიმართა საბერძნეთის მთავრობას:

„ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობები დიდ ინტერესს იჩენდენ საბერძნეთის ხალხის კეთილ დღეობის დასამყარე-ლათ. ჩვენ არა ვართ კმაყოფილი საბერძნეთში მომხდარ ამბების გამო. ჩვენ არ გვინდა ჩავერიოთ საბერძნეთის შინაურ საქმეებში, მაგრამ იძულებული ვართ განვაცხადოთ საქვეყნოთ, რომ საბერძნეთში ძველი მონარქიის დაბრუნება იქნება ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართ. გამოსვლა და არც საბერძნეთისათვის იქნება ხელსაყრელი. ამით შეიქნება ისეთი მდგომარეობა, რომელიც ხელს შეუშლის შემდეგში მოკავშირეების და საბერძნეთის კავშირს. მოკავშირეთა მთავრობები ამ საკითხში იტოვებენ მოქმედების სრულ თავისუფლებას"

საფრანგეთის ჟურნალისტთან საუბარში ლეიგმა განაცხადა: „მე ვფიქრობ' რომ ახლა ათინის ხალხი გაუწევს იმას ანგარიშს, რომ არ არსებობს დღეს მოკავშირეებსა და საბერძნეთს შორის ისეთი უთანხმოება, როგორსაც ის მოელოდა. მოკავშირეები მიისწრაფიან, რაც შეიძლება მალე ჩამოაგდონ აღმოსავლეთში და განახორციელონ ყველა მთაზე დავალებული ვალდებულებანი." პრემიერმა დაუმატა, რომ საფრანგეთი შესძლებს საბერძნეთთან მტკიცე კავშირის დაჭერას. შეთანხმება ეს მოხდა იმისათვის, რომ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება ელინთა გონიერებაში.

# საბჭოთა რუსეთში

### კავკავის ოლქის საბჭოების მე-2 ყრილობა.

**კავკავი**, 3 დეკემ. 3 დეკემბერს სოფელ არდონში გაიხსნა კავკავის ოლქის საბჭოების მე-2 ყრილობა მოსმენილ იქნა მომხსენება მიმდინარე მომენტზე, რის შემდეგ მისალმების დეპეშა გაუგზავნა წითელ არმიას, რომელმაც დაამარცხა კონტრევოლიუციის დედაბოძი—ვრანგელი. სიეზდმა დაადგინა, რაც შეიძლება მალე იქნას გადაწყვეტილი მიწის საკითხი. დიგორიის კერძო ადმინისტრატიულ ერთეულათ გამოყოფის საკითხის შესახებ ყრილობამ დაადგინა: „თუ რომ დიგორიის მცხოვრებთ სურთ კერძო ადმინისტრატიული ერთეულათ გამოყოფა, ამ შემთხვევაში რუსეთის კომუნისტურ პარტიის კავკავის საოლქო კონფერენცია ვალდებულია გაატაროს ეს მოთხოვნილება ცხოვრებაში. შემდეგ წინადადება მიეცა საოლქო პარტიულ კომიტეტს მოკლე დროში მოიწვიოს პარტიის მონაწილეობით დიგორიის მცხოვრე თა ყრილობა, სადაც განხილულ იქნება დიგორიის გამოყოფის საკითხი.

### უმეცრებასთან ბრძოლა

**კავკავი**, 3 დეკემ. სახალხო განათლების განყოფილება ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს უსწავლელობასთან. არსებობს განსაკუთრებული კომისია, რომლის მოვალეობაა უსწავლელობის ლიკვიდაცია. კომისია ადგენს უსწავლელთა სიას, აწყობს სალექციო პუნქტებს. ასეთ პუნქტებს აწყობენ როგორც ქალაქში, ისე ქალაქის განაპირა კუთხეებში. ჯერ-ჯერობით მოწყობილია 25 ასეთი პუნქტი. უნდა მოეწყოს კიდევ ასი პუნქტი.

### ბავშვთა კვირა.

**მოსკოვი**, 2 დეკემბ. საბჭოთა რუსეთში ბავშვთა კვირაა გამოცხადებული. იხსნება ბავშვთა თავშესაფარები. სკოლები, კლუბები, ბაღები, ურიგებენ ბავშვებს წიგნებს და სხვა საჩუქრებს. უმჯობესდება ბავშვიან ქალთა და ორსულ ქალთა დახმარების საქმე. ამ კვირაში მთელი მოსკოვი და პროვინციის მცხოვრებნი იქნა ჩათრეული.

# რევოლიუციის ფრონტებზე

**მოსკოვი**, 4 დეკ. მრავალ ტანჯულმა და გაწვალებულმა სომხეთმა, რომელიც დღემდის მიცემული იყო დაშნაკელების მიერ ანტანტის საჯიჯგნავათ და განიცდიდა დარბევას და აოხრებას, დღეს იხსნა თავისი თავი საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებით. ვერც ანტანტის გაიძვერულ დაპირებებმა, ვერც ვილსონის პაციფისტურმა მისწრაფებამ და ვერც ხალხთა ლიგის „დახმარებამ" ვერ იხსნა სომხეთი განადგურებისაგან. მხოლოდ საბჭოთა ძალა უფლების იდეამ მიანიჭა სომხეთს ზავი და ნაციონალური გაერთიანება.

აი ფაქტები, რომლებმაც მიიყვანა სომხეთი სოვეტიზაციამდე (საბჭოთა წესწყობილება). სომხეთის მენშევიკების და დაშნაკელების დამღუპველმა პოლიტიკამ მიიყვანა ქვეყნის მდგომარეობა ანარქიამდის და სილატაკემდის. ოსმალეთთან ომმა სომხეთი მთლად გააუბედურა. სომხეთის აღმოსავლეთ ოლქების ტანჯული მცხოვრებლები ვერ ილანენ ამ ტანჯვას და ნოემბრის ბოლო რიცხვებში ააფრიალეს აჯანყების დროშა. ამ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში რევოლიუციონური კომიტეტი ამხ. კასიანის მეთაურობით.

30 ნოემბერს სომხეთის რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაიკავა ქ. დელიჟანი. პირველ დეკემბერს საბჭოთა აზერბაიჯანმა თავისი ნებით დაუთმო ახალ მოძმეს საბჭოთა სომხეთს სადავო ადგილები: ზანგეზური, ნახიჩევანი და ყარაბახი. 1 დეკემბერს რევოლიუციონური კომიტეტი ღებულობს მოლოცვას ოსმალეთის სარდლობისაგან. 2 დეკემბერს სომხეთის სატახტო ქალაქიდან ერევანიდან განდევნილ იქმნა მენშევიკების მთავრობა. სომხეთის ჯარები თავის თავს აცხადებენ რევოლიუციონურ კომიტეტის განკარგულებაში. ერევანი ცხადდება საბჭოთა ქალაქათ.

საუკუნოებით სისხლის ღვრა სომხებსა და მუსულმანებს შორის მოისპო—ერთი ხელის დაკვრით დამყარდა მუდმივი ძმური კავშირი სომხეთსა, აზერბაიჯანსა და ოსმალეთს შორის.

### შაჰის მთავრობის წინააღმდეგ

**მოსკოვი**, 4 დეკემ. სპარსეთის სოციალისტური პარტია ირანის კომუნისტურ პარტიას უერთდება შაჰის მთავრობის თავაშვებულობის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

### რკინისგზელთა გაფიცვები ნორვეგიაში

**მოსკოვი**, 4 დეკ. 1 დეკემბერს მთელ ნორვეგიაში რკინის გზელთა გაფიცვები დაიწყო. ასეთი გაფიცვები ჯერ არ ყოფილა.

### საზავო ხელშეკრულობის დამტკიცება

**მოსკოვი**, 4 დეკ. ფინლიანდიის სეიმმა რუსეთთან ხელშეკრულება დაამტკიცა.

### სომხეთის მუშებისა და გლეხების ბრძოლა.

**მოსკოვი**, 4 დეკემბერი. სომხეთის სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი კასიანის, ბეგზადიანის, დოვლადიანის, მურავიანის და ტერ-გაბრიელიანის ხელმოწერით ლენინს დეპეშას უგზავნის: „ჩვენ მივიწევთ წინ სრული იმედით, რომ აღმოსავლეთის ხალხთა განმათავისუფლებელი დიდი სოციალისტური რუსეთი გაგვიწევს ჩვენ დახმარებას".

საპასუხო დეპეშაში ლენინი ესალმება სომხეთის მშრომელ ხალხს, რომელიც განთავისუფლდა იმპერიალისტების კლანჭებისაგან.

### რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში.

**მოსკოვი**, 4 დეკემბერი. უკანასკნელ ხანებში ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა ინდოეთში ტერორისტულ აქტებით გახშირდა. ტერორის მსხვერპლი ინგლისის მოხელეები ხდებიან.

კალკუტაში ახალი რევოლიუციონური ორგანიზაცია აღმოაჩინეს. სამრეწველო ცენტრებში—ბომბეიაში, კალკუტაში და სხვა ალაგებში გაფიცვების გამო ცხოვრება მთლად დამძიმდა. ჩაის პლანტაციებში გრძელდება არეულობა.

## შეცდომის გასწორება.

ბარონის საპასუხო წ-ში გუშინდელ №-ში დაბეჭდილია: „ღორისა და არა გოჰის ხორცი 600 მანეთი".

უნდა იყოს: „ღორის და გოჭის ხორცი 600 მან."

**კვირას, დეკემბრის 5, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში შესდგება თბილისის სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა**

# საზოგადო კრება

**დღიურ წესრიგშია:** 1. შრომის ხელშეკრულების კანონის განხილვა.
2. ეკონომიური მდგომარეობა.

კრებაზე მოწვეულნი არიან ფრაქციათა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ადგილობრივ კომიტეტებს ევალებათ ყოველგვარი ზომები მიიღონ, რომ კრებას არ გამოაკლდეს კავშირის არც ერთი წევრი.

**სახელმწ. დაწესებ. მოსამსახ. ცენტრალური გამგეობა.**

საქართველოს მუშა-ქალთა ფურცელი

№ 8 № 8

## ქალი---აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე

აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა დიდ მნიშვნელოვანია მუსულმანთა ქალების ცხოვრებაშიც. მასში პირველათ ღებულობენ მონაწილეობას აღმოსავლეთის ქალები. სამი მათგანი ყრილობის პრეზიდიუმშიც იქნენ არჩეულნი. უნდა აღვნიშნოთ რომ ყრილობის ზოგიერთი წარმომადგენლები ამ ფაქტის წინააღმდეგ წავიდენ. ისინი ამბობდენ, რომ ეს მომენტი უარყოფითი გავლენას იქონიებს მუსულმან ქალთა ჩამორჩენილ მასებზეო. ქალების პრეზიდიუმში შეყვანას, ამბობდენ ისინი, საერთო გახრწნის სიმბოლოთ ჩათვლიან და უკანასკნელი ქამის მოახლოებათ. ყრილობის უმრავლესობა-კი ქალების პრეზიდიუმში დანიშვნას დადებითათ უყურებდენ. ისინი ამბობდენ, რო ქალების პრეზიდიუმში შეყვანას უუდიდესი სააგიტაციო მნიშვნელობა აქვს როგორც დასავლეთისთვის, რომელმაც უნდა შეიგნოს რომ აღმოსავლეთმა გაიღვიძა და ამოძრავდა, რახან თვით ქალებიც-კი ჩადრს იხსნიან და მებრძოლთა რიგებში დგებიან, ისე აგრეთვე აღმოსავლეთისთვისაც, რომელმაც ქალთა მონობისაგან განთავისუფლების საკითხი დრო არის პირველ რიგში დააყენოს. ყრილობის წევრები უნდა დარწმუნებულიყვენ, თუ რა დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა ჰქონდა ყრილობას, როდესაც სართის ქალები მოვიდენ ფართე და სქელი ჩადრებით ჩამობურული, რომელიც მათ არა თუ სახეს უფარავდა, მთელ ტანსაც-კი და რაღაც უძველეს დროინდელ მონუმენტების მზაგავსებას წარმოადგენდენ. მაგრამ ყრილობის დათავებისას სურათი სრულებით შეიცვალა. ქალები ყველა ჩადრ ახდილი დადიოდენ. ამის გამო ბევრი მამაკაცი უკმაყოფილოდ დარჩა და მოითხოვდენ ქალებს ჩადრი ისევ აესხათ. მაგრამ ქალებმა განაცხადეს, რომ ისინიც მამაკაცებსავით დელეგატებს წარმოადგენენ და უფლება აქვთ ისე მოიქცენ, როგორც სურთ.

ყრილობის ბოლო დღეებში ბაქოს ქალთა ორგანიზაციამ დელეგატ-ქალების თანდასწრებით ორი თათბირი მოაწყო.

თათბირზე მოხსენება გააკეთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ამ ორგანიზაციის მოქმედების შესახებ, მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდანაც. თათბირის წინ წარმოთქმულ იქნა მოკლე მიმოხილვა ქალთა მოძრაობის შესახებ ევროპაში. მოხსენებაში აღინიშნეს ის გზები, რომელიც უნდა განვლოს ქალთა მოძრაობამ რუსეთში და აღმოსავლეთში. მოხსენების შემდეგ გამოიმუშავეს შემდეგი აზრი: აღმოსავლეთის ქალებთან დაახლოვება შეიძლება მხოლოდ ეკონომიური გზით. უნდა მოეწყოს მათთვის შინამრეწველობა (ქსოვა, რთვა, ნოხების ქარგვა და სხ..), მუშაობა უნდა წარმოებდეს მხოლოდ საერთო სახელოსნოებში. ასეთ არტელებში გაძლიერდება ქალთა შორის აგიტაციის გაწევა, თან და თან გამოვლენ ქალები საზოგადო ცხოვრებაში. ქალთა განვითარების მეორე საშვალებათ აღიარებენ კლუბების დაარსებას. კლუბებში ქალებს სხვათა შორის წერა-კითხვას შეასწავლიან. სწავლა-განათლების სურვილი ქალებში ძლიერია. მოსალოდნელია, რომ სკოლებს და კლუბებს დიდძალი ქალები მოაწყდება, სადაც წერა-კითხვის გარდა დიდი პროპაგანდა-აგიტაცია იქნება.

დაბოლოს, ყველა დელეგატ-ქალებმა საჭიროთ სცნეს აღმოსავლეთის ქალთა ყრილობის მოწვევა. აგიტაცია და მუშაობა ამ ყრილობის მოსაწვევათ ყველა დელეგატ-ქალებს ევალება.

შემდეგ ყრილობაზე არა 36 დელეგატი-ქალი დაესწრება (2,045 დელეგატი იყო მთლად), არამედ ბევრათ უფრო ბევრი. პირველი ნაბიჯი გადადგმულია, გარღვეულია ტინის კლდე და ჩვენზეა დამოკიდებული კვალიც კი მოვსპოთ ამ ზღუდის, ფართეთ გაუღოთ კარები აღმოსავლეთის ქალებს შეუერთდენ დასავლეთის ქალებს განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ჯერჯერობით აღმოსავლეთის წინაშე დგას ეს ამოცანა, მისი გადაწყვეტის შემდეგ-კი აღმოსავლეთის ქალებს დაესმება ახალი ამოცანა—კომუნიზმისათვის ბრძოლა.

ელენა სტასოვა.

ინგლისელ ქალების ცხოვრების ასეთ პირობებს შეუძლია გამოიწვიოს უპირატესობის გრძნობა ზოგ მათში, რომლებიც უკეთეს პირობებში სცხოვრებენ და რომლებიც მხოლოდ დიასახლისის როლს ასრულებენ ან და ნამდვილი პარაზიტები არიან. რაც არ აქვთ აღმოსავლეთის ქალებს, პოლიტიკური და სოციალური განვითარება, ამ ნაკლს ისინი ივსებენ სულიერი სილამაზით. აღმოსავლეთს ყოველთვის ყავდა ქალი—პოეტები, მწერლები, ნასწავლები, ფილოსოფოსები როდესაც დასავლეთს მისი ქებული ცივილიზაციით ყავდა მხოლოთ ორი თუ სამი გენიოსი ქალი. რუსი ქალების გონებრივ განვითარებას, მხნეობას და რევოლიუციონურ აღტყინებას ეხლა ყველანი უდავოთ სცნობენ. მიუხედავათ ამისა ჩვენ ვიცით, რომ ისინი პეტრე დიდის დროს ძალით იქმნენ ამოყვანილი ნახევრათ აღმოსავლეთურ ტრადიციების მორევიდან. ამის შემდეგ არა გვაქვს ჩვენ უფლება ვსთქვათ, რომ აღმოსავლეთის ქალების სულიერ და გონებრივ განვითარებაში ერთად არის შეზავებული აღმოსავლეთის კულტურა და ევროპის ცივილიზაცია. ინდუსი ქალი, როგორც კაცი ერთნაირათ შეიქნა მსხვერპლი დამპყრობელთა უხეშ მოქმედების. მათ ერთნაირათ განიცადეს დამპყრობელთა პოლიტიკური და სოციალური მონობის სიმძიმე.

ახლა ქალები და მამა კაცები ერთნაირათ იტანჯებიან წარმოების დაცემით, რასაც ხელს უწყობს უცხოეთის იმპერიალიზმი. მამაკაცებმა პირველათ აღმართეს რევოლიუციონურ ბრძოლის დროშა მონობისაგან თავის გასანთავისუფლებლათ. ქალებმაც მიბაძეს მამაკაცების მაგალითს. და როდესაც ბოლო მოეღება ქალების ხელოვნურ კარჩაკეტილობას, რასაც ხელს უწყობს ინგლისი, მაშინ დადგება რევოლიუციონურ დუღილის ხანა, როგორც ინდოეთის მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვისაც. ამას იზამს ინდოეთის რევოლიუცია.

ინდოეთის ეს ახალი განვითარების პროცესი იქნება რუსეთის რევოლიუციის გავლენის ქვეშ, რაც (რუსეთის რევოლიუცია) ბრწყინვალე გზის მაჩვენებელი კანდელია ყველა დაჩაგრულ ხალხების, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის.

(შემდეგი იქნება)

## მუშათა მოძრაობა და ქალთა გამოღვიძება ინდოეთში

მძიმეა და დათრგუნვილი ინდოეთის ხალხთა ცხოვრება ბრიტანეთის ბატონობის გამო. ინგლისის კაპიტალი რამოდენიმე თაობის განმავლობაში ამ ქვეყანას წუწნის სასიცოცხლო წვენს. ამ ქვეყნის მცხოვრებთა 80 პროც. (მთლად ინდოეთში 300 მილიონი მცხოვრებია) პროლეტარებს თუ ნახევრათ პროლეტარებს წარმოადგენენ. სიმშილი და სილატაკე მაჯლაჯუნათ აწევს მთელ ხალხს მიუხედავათ ეროვნებისა, რასისა, სარწმუნოებისა. უმიწობა და დიდი ბაჟები ინდოეთის მცხოვრებთ უნუგეშო მდგომარეობაში აგდებს არა მქონეთა რიცხვი 40 მილიონს აღემატება, რომლებიც მუდამ მშივრები არიან.

არც სამრეწველო დაწესებულებების მუშები არიან უკეთეს მდგომარეობაში, რომელთა რიცხვი 5 მილიონს უდრის. გრძელი სამუშაო დღე, მცირე სამუშაო ხელფასი, ცუდი ბინები, ანტისანიტარული პირობებში მუშაობა თუ ცხოვრება საერთო ხვედრს წარმოადგენს ყველა ინდოელ მუშებისათვის. მუშების მდგომარეობა კიდევ უფრო გაცუდდა ომის დროს: პირველ საჭიროების საგნებზე 5—6-ჯერ გადიდდა ფასები, ხოლო დღიური ხელფასი 2-ნახ.-3-ჯერ გაიზარდა. მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა 15 წელიწადია რაც დაიწყო, მაგრამ ნამდვილი მებრძოლი ორგანიზაცია კი 1917 წელს დაარსდა. ომის დროს და ომის შემდეგაც ინდოეთში არ წყდება გაფიცვები და აჯანყებები ინგლისელთა წინააღმდეგ. ამ მოძრაობაში უახლოეს მონაწილეობას ღებულობენ ინდოელი ქალები, რომლებიც ბომბეის, ბენგალის და ბომბეის სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობენ.

ინდოელი ქალები აგერ ახლამდის მიჯაჭული იყო თავის ოჯახზე, წმინდათ ინახევდენ უძველეს დროიდან გადმოცემულ წეს-ადათებს. წერა-კითხვის უცოდინარობა, ადრე დაქორწინება და მუდმივ ლუკმა პურისთვის ზრუნვა აუტანელი, რიყავდა ცხოვრების გარეთ. სარწმუნოებრივი აკრძალვა ქალების მეორეხელ დაქორწინებაზე ჰქმნის ქვრივ ქალთა ფართო წრეებს, რომლებიც იძირებიან არარაობის ზღვაში. ინდოელ ქალს უწესობათ მიაჩნია კინომატოგრაფებში, თეატრში და გასართობ დაწესებულებებში შესვლა. იმათ ჩვეულებათ აქვთ მხოლოდ საყდრებში და მეჩეთებში სამღთო წერილების კითხვაზე დასწრება.

მაგრამ ინგლისის კაპიტალმა ინდოეთის ძველ ეკონომიური საფუძვლებთან ერთათ შეარყია ძველი ოჯახური წესადათები. ქალები თან და თან სცილდებიან ოჯახურ კერას და მონაწილეობას ღებულობენ ფიზიკურ და გონებრივ შრომის სხვა და სხვა დარგებში. ღებულობენ რა მონაწილეობას მრეწველობის სხვა და სხვა დარგებში, ინდოელი ქალები თან და თან იყიწყებენ ძველ ჩვეულებებს, რომლებიც მათ ანსხვავებს მთელს დანარჩენ ქვეყანასთან. იგი ჩვეულებანი ჰქრებიან უკვალოთ. ამ, ასე ვთქვათ, პროლეტარულ ქალებს შორის ხშირდება გვიან დაქორწინება და ქვრივ ქალების ხელმეორეთ დაქორწინება. მუშა ქალები რევოლიუციონურ მოძრაობაში აქტიურს მონაწილეობას ღებულობდენ. პროლეტარ-ქალები არა თუ გაფიცვებში ღებულობენ მონაწილეობს. რომლის ძლიერმა ტალღებმა ამ უკანასკნელ ხანებში ძალუმათ შეანძრ შეარყია მთელი მხარე, შეიარაღებულ შეტაკებებშიაც კი, რომლებიც ძალიან ხშირი მოვლენაა. მოკლულთა და დაჭრილთა სიებში ხშირია ქალთა სახელები. ხშირია ხოლმე ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალები დაცინვით თუ წაქეზებით იძულებულს ხდიან „სიპაებს“ ე. ი. ინდოელ ჯარის კაცებს, რომლებსაც სიმშილი მიერეკება ინგლისელ მჩაგვრელთა სამსახურში, მეამბოხეებს შეუერთდენ.

მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით ძალიან სუსტია. ამა წლის აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში ბომბეიაში უნდა შემდგარიყო სრულიად ინდოეთის პროფესიონალურ კავშირთა ყრილობა. ეს ყრილობა ინდოეთის სტიქიურ მუშათა მოძრაობას უთუოდ ორგანიზაციულ ფორმაში ჩამოაყალიბებდა.

საშუალო წრეებიც თანაუგრძნობენ მუშათა მოძრაობას, ვინაიდან ისინიც მწარეთ გრძნობენ ინგლისელთა უღლის სიმძიმეს და მათი ზიზღი საზღვარ გარეთელთა მიმართ უსაზღვროა. ყველა ეკონომიურ ნიადაგზე დაწყებული გაფიცვები პოლიტიკური მოძრაობით თავდება. ინგლისის ბურჟუაზიას დამშეულ და ძალა მიხდილ ხალხის თვალწინ (ოთხი წლის ომის დროს სიმშილის მიზეზით 36 მილიონი კაცი მოკვდა) ინდოეთიდან გააქვს უთვალავი სურსათსანოვაგე და ნედლი მასალა. ამიტომაც სრულიად არაა გასაკვირი, რომ ინდოეთის ქალაქის და სოფლის პროლეტართა შორის კომუნიზმს აგრე პოხიერი ნიადაგი რომ აქვს. ინგლისელ მუშისთვის ცხადი ხდება, რომ ხსნა არა მარტო ეროვნულ განთავისუფლებაშია, არამედ სრულ სოციალურ განთავისუფლებაში, კაპიტალის უღლის სამუდამოთ დამსხვრევაში. ამ უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლაში ინდოეთის პროლეტარი ქალი გამოიჩენს თავის მეობას, სიმტკიცეს, შეუპოვრობას, გმირობას და ბრძოლის უაღრესს წყურვილს.

## ინდოელი ქალები და სოციალური რევოლიუცია

როგორი როლს თამაშობენ ინდოელი ქალები ამ დღითი დღე მოზარდ პროლეტარულ და რევოლიუციონური მოძრაობაში? ამ საკითხზე ყოველ ნაბიჯზე წააწყდები და იგი კარგათ მოფიქრებულ—დაკვირვებულ პასუხს თხოვილობს.

უფრო სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, ისინი ძალიან ბევრს აკეთებენ და ისინი თითქმის არაფერს აკეთებენ. თქვენ რომ ჰკითხოთ ინდოელ რევოლიუციონერს ინდოელ ნაციონალურ პარტიიდან როგორ დაიწყო მან თავისი რევოლიუციონური მოქმედება ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მეხუთე შემთხვევაში ათიდან თქვენ მიიღებთ პასუხს, რომ ცოლს, დედას ან დას დაუყენებია იგი რევოლიუციონურ გზაზე. როდესაც იგი საფრთხეს მოელოდა ბრიტანელ ჟანდარმებისგან, იგი თავს აფარებდა ქალების ბინებში. ზემო მოყვანილი იმის მაუწყებელია, რომ ქალების როლი ინდოეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში ძალიან დიდია.

მაგრამ თვით რევოლიუციონური მოძრაობაში ქალები უშუალო მოძრაობას არ ღებულობენ. ამ მოძრაობაში ქალების სახელს ჯერ იპოვით, რაც სიმბოლოთ იქნებოდა რევოლიუციონურ აღფრთოვანების. ამით იგი მოძრაობა სხვაოდება რუსეთის რევოლიუციიდან, რომლის მატიანე აგრე მდიდარია ქალთა სახელებით.

ეს მოვლენები გამოწვეულია ინდოეთის ისტორიული და სოციალური პირობებით. მაჰმადიანთა ბატონობამ 6 საუკუნის განმავლობაში ინდოეთის ხალხს ზნე-ჩვეულებებს, წეს-ადათებს თავისი დაღი დაასვა, თავისი ელფერი მისცა. ამ ერთ-ერთ წეს-ადათთაგანია ქალთა კარ-ჩაკეტილობა, იმ სრული სოციალური თავისუფლების მაგიერ, რომლითაც ინდოელი ქალები მანამ სარგებლობდენ. ამას გარდა ინდოელი ქალები პირს იბურავენ პირ-ბადით (ფატით). ეს ჩვეულება, რომელიც შემოღებულ იქმნა მიბაძვით და აგრეთვე მაჰმადიანთაგან თავდაცვის გრძნობით, უცვლელათ რჩება ბრიტანელთა ბატონობის დროსაც. ადრე დაქორწინება და სახის ჩამობურვა ბავშვობაშიაც აქვთ ინდოელი ქალებს შემოღებული. ეს ჩვეულება საშუალო საუკუნოებიდან აქვთ დარჩენილი და დღესაც უცვლელად ასრულებენ. იგი ჩვეულებანი განვლილ სოციალური მდგომარეობის ნაყოფია. ეს ჩვეულებანი, როგორც მტკიცე კედელი, ისე იცავს ინდოელთ საზღვარ-გარეთელ მჩაგვრელებისაგან. ამ ჟამათ ინდოეთში უთვალავ ძველს გადმოცემებს და ადათებს შეხვდებით, მაგრამ მათ გვერდით აუარებელი ამბებს აქვს ადგილი კაპიტალისტური ეპოქიდან. ეჭვი არ არის, რომ რევოლიუციონური მოძრაობა ამ დრო მოჰმულ წეს-ადათებს ბოლოს მოუღებს, მოსპობს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იგი ზნე ჩვეულებანი რევოლიუციონურ მოძრაობაში ქალთა თანამშრომლობას ძლიერ აფერხებს.

ძვირფასო ამხანაგებო! „ახ. კომუნ სტი“ გამოდის „ბრძოლის“ მაგიე მუშების და გლეხების გაზეთ როგორც „ბრძოლა“, ისე „ახ. კომუნ ტიც“ დაიცავს მთელი მშრომელი მას ყველა დაჩაგრულთა და შევიწროებულ ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი გაზეთ თვით მუშებმა და გლეხებმა უნ ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლ ხებმა უნდა მისცენ მას არსებობის შუალებანი.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! უჩინეთ თქვენი არსებით ინტერესების მცველ გაზეთს „ახ. კომუნისტს“ ნივთ ერი და ზნეობრივი დახმარება. მიიღეთ ყველგვარი ზომები მის გასავრცელებლა ფართო მასსაში, გამართეთ ხელის მ წერა მის სასარგებლოთ. ამით თქვ უზრუნველყოფთ მის არსებობას.

საქართვ. კომუნისტ. ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი

## განცხადებანი

გამომცემლობა

„წითელი ვარსკვლავი“

გამოსულია.

1. ვინ არიან კომუნისტები (ბოლშევიკ ბი). ფ. 3 მ.
2. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ინტე ნაციონალი მომაკვდავი და ინტე ნაციონალი ამომავალი. ფ. 5 მ.
3. მ. კასპიელი. ვინ სტყუის? ფ. 10 მ.
4. ნ. ლენინი. ეკონომიკა და პოლიტი პროლეტარიატის დიქტატურის ხა ნაში. ფ. 5 მ.
5. ნ. ლენინი და გ. ზინოვიევი. ომი და სოციალიზმის კრიზისი. ფ. 20 მ.
6. მ. კასპიელი. ინტერნაციონალი და ომის საკითხი. ფ. 15 მ.
7. პროგრამა რუს. კომ. პარტიისა.
8. ბუხარინი. პროლეტ. დიქტატურა რუ სეთში და მსოფლიო რევოლიუცია.
9. ნ. გექტორი. რით აიხსნება რუსეთის სოციალისტ. რევოლიუციის ადვილად გამარჯვება..
10. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნ ცენტ. კომიტეტის მიმართვა კავში რისადმი 1850 წ.

იბეჭდება:

11. ბუხარინი და პრეობრაჟენსკი. კომუ ნიზმის ანბანი.
12. ზინოვიევი. პარტია და პროფესიონა ლური კავშირები.
13. მინინი. რელიგია და კომუნიზმი.
14. პეტროვიჩი. პროლეტარებო ყველ ქვეყნისა, შეერთდით!
15. კ. მარქსი. სამოქალაქო ომი საფრან გეთში 1870—71 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიი ცენტრალური კომიტეტის ბიურო მოთა სებულია პასკევიჩის ქ. № 3, მეორე სარ თული, ტელ. 8—91.

ცენტრ. კომ. ბიურო ღიაა დილის 11—1 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის საგუბერნიო კომი ტეტის ბიურო მოთავსებულია პასკევიჩი ქუჩ. № 3, მეორე სართული. ტელ. 8—91

ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე.

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭო ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. პირველი რაიონის ბიურ მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩ., № 13

ბიურო ღიაა საღ. 5—7 ნახ. საათამდე

ს. კ. პ. თბილისის მეოთხე რაიონ ბიურო მოთავსებულია რუსთა ეროვნუ საბჭოს ბინაზე (ალექსანდროვის ბაღ ბირდაპირ), სადაც სწარმოებს ახალი წე რების ჩაწერა და ძველი წევრების რეგ სტრაცია.

ბიურო ღიაა დილის 10—1 საათამ და საღამოს 4—7 საათამდე.

ს. კ. პ. თბ. მეორე რაიონის ბიურ მოთავსებულია რუსთა ეროვნულ საბჭო ბინაზე (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ

ბიურო ღიაა დილის 10—12 საათამდ და საღამოს 5—7 საათამდე.